

ნიკნაი

ISSN 0132-6015

7 84



— დანიჰირებს?
— არა, ჩვენი ღირებობის ტოლია და დაცვა დაუშენა!

ნ.ა. ჯ. ლოლუასი

თილისში, მშვიდობის

პროსპექტის ნომერ ოცდაოთხში, სამი დღე იყო გამოკრული განცხადება, რომლითაც მალაზია „გოლიათის“ დირექცია მომხმარებლებს აცნობებდა, რომ შაბათს, საღამოს შვიდ საათზე, შედგებოდა შეხვედრა მომწოდებელი ფაბრიკის წარმომადგენლებთან.

დანიშნულ დროზე ადრე მალაზია გოლიათებით კი არა, დაბალი ტანის მომხმარებლებით აივსო გოლიათების წარმომადგენლები ისე ჩანდნენ საერთო ფონზე, როგორც ქინძ-ონრახუშის ბოსტანში ტაროში შესული სიმინდის ლეროები.

— ამხანაგებო! ბოდიშ ვისდით სიციწროვისათვის, მალაზიის მთლიანი ფართი ოთხმოცდაათი კვადრატული მეტრია, როგორც იტყვიან, თავი კულს ვერ მოიქნევს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი მალაზია ექსპორტდება ჩვენი რესპუბლიკის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ფარმან ქველლის, ფარნავაზის, ვარაზ ბაკურის, ვახტანგ გორგასლისა და სხვა გოლიათების სპეციალური ტრადიციებს აგრძელებენ!

— თითოეულ მათგანს მტრის რამდენი გოლიათი ჰყავს დამარცხებული? — იკითხა ვიღაცამ უკანა რიგიდან.

— უთვალავი, და ამიტომაც, ამხანაგებო, მივესალმეთ მათ!..

— ვაშა! — გაისმა დარბაზში.

— მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მართო მადლებს ვემსახურებით, პატარა ტანისა იყო ნაბოლეთი, მაგრამ სომ შვიძრა ქვეყანა?!

— ჰი, ჰი რომ შეძრა!

— ამიტომაც ჩვენი მომწოდებელი ფაბრიკის თაოსნობითა და ზრუნვა-მომხმარებელი მომცრო ტანის მომხმარებლებსაც ვაცმევთ და ვახურავთ. თუ ჩვენმა მალაზიამ გასული წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, არ დაგიბალავთ, ეს მათი წყალობაა! დიდება მათ!

— დიდება! დიდება! დიდება! — დაიქუხა დარბაზმა.

— ისე, ჩვენს მტერს მივიცხვ დიდება, როგორც აწი ესენი გადიდდებიან! — წამოიძახა რომელიღაც გოლიათმა და მომცრო ტანის ხალხს თვალი გადაავლო.

— აბა! აბა! წყევლა არ იყოს, თორემ!.. — წამოვარდა სკამიდან ვიღაც პატარა კაცი და გოლიათის საქამრემდე წამოიძარა.

— ამხანაგებო! ამხანაგებო! ძალიან გთხოვთ სიწყნარე დაიცვათ, თორემ შეიძლება უბედურება დატრიადღეს!

— არავითარ შემთხვევაში! აქ ზოგ-ზოგებს ნუ ეგონებათ, რომ სიმოდლესა და სიგარბეშია მართო საქმე! — შესძახა ყველაზე მომცრო ტანის მომხმარებელმა და დოინჯი შემოიყვარა.

— მაგიტომ კი არა, მეგობრებო, ღმერთმა დაგვიფაროს. აბა, ამ თიხს თვალი გააყოლოთ! — ყველამ სალოკი თითის მრუდედ გაველებულ ხაზს გაადევნა თვალი.

— ხედავთ?! კარგად ხედავთ?! — ვხედავთ, ვხედავთ!

— ჰოდა, თუ ეს გარღვეული

მხანაგებო!

ფალაქონი

კედელი უეცრად ჩამოინგრა, ველარც გოლიათები გვიშველიან და ვეღარც კიდე ვოლიათგულიანები. იმას ვამბობდი, ამხანაგებო, ჩვენ აქ, ამ პატარა, დარბაზში, მოვიწყვეთ მომწოდებელი ფაბრიკის წარმომადგენლები, მივცეთ მათ სიტყვა.

ტრიბუნაზე ფაბრიკა „ამირანის“ წარმომადგენელი.

— ამხანაგებო! ჩვენმა ფაბრიკამ გასული წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

— გეგმა კი არა, ჩვენ ის გვანტერესებს, გოლიათებისათვის რა გააკეთეთ?!

— გასულ წელს გოლიათების მალაზიას მოვალდეთ ორი სამოცდაოთხი და სამი სამოცდაექვსი ზომის კოსტიუმი.

— აუჰ, რა ავივისიათ მალაზია?!

— ორი და სამი კოსტიუმი ეყოფოდა ამოდენა ხალხს?!

— სიმძლე რამდენი იყო კოსტიუმებისა?

— მეორე, მესამე. — წააშველა სიტყვა მალაზიის სექციის გამგემ.

— საითიუ გაუკეთებიათ, ამხანაგებო, მაგ ზომისაში ჩვენი თითც ვერ ჩაეტევა.

„ძირს, ძირს!“ „ჩამოვიდეს ტრიბუნიდან!“ — შეძახილებმა გააყრუა იქაურობა.

— მე, ბატონო, ქუთაისის ფაბრიკა „გოლიათის“ წარმომადგენელი განლაგართ. ჩვენი სახელოვანი კოლექტივი ჩაბმულია შრომის ფერხულში, ჩვენთან ყველა ხელმძღვანელი ოსტატია.

— სჯობს უფრო ხელმრუდეებზე ილაპარაკო, თქვენს მიერ გამოგზავნილი პერანგებზე ყველა მეორე, მესამე სიმძლესა.

— ამხანაგებო, ჩვენ ვიბრძვით ხარისხისათვის...

— ისეც რა ვითხრათ! მართო ჩვენმა მალაზიამ გასულ წელს ოცდაორი ათასი მანეთის საქონელი დაგიბრუნათ, ხოლო ორმოცდახუთი ათასი მანეთის პერანგები, იძულებული გავხდით გადაგვეკეთებინა, მაგრამ მაინც არ იყიდება. რა ვუყოთ, ამხანაგებო, ფაბრიკის წარმომადგენელს?!

— თავისი ფაბრიკის მიერ გამოშვებული პერანგი ჩავაცვით! — წამოაყენა წინადადება ერთ-ერთმა მომხმარებელმა.

— ნუ მიზამთ მავას, არ ჩამეტევა, ყელზე მომიჭერს! — შეენკინა „გეგმათის“ წარმომადგენელი, მაგრამ არავინ უღლო ყური, ჩააცვეს ტანზე და ატყდა სიცილ-სარხარი.

ტრიბუნაზე ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის წარმომადგენელი ავიდა.

— ამხანაგებო! მართალია, გასულ წელს, მალაზიამ ჩვენც დაგვიბრუნა სამოცდაათი ათასი მანეთის უხარისხო საქონელი, მაგრამ...

— დიცა, დიცა, მეგობრო! თუ ასე გქონდა საქმე, ტრიბუნაზე სიტყვილით როგორ ადიოდი? ჩამო ძირს, ჩამო! — შესძახა ორმეტრიანმა გოლიათმა და ტრიბუნიდან ჩამოსვლაში „უშველა“.

— ამხანაგო მომხმარებლებო! ტრიკოტაჟის ფაბრიკა „ბასტრონმა“ უნდა მოგვაწოდოს ქალის ყაჩქები, მამაკაცის ჯემპრები, სვიტრები, პულავერები, კაბები, ზამბის სპორტული კოსტიუმები, მაგრამ გასულ წელს არ მოგვაწოდა ოცდარვა ათასი მანეთის საქონელი. მიმდინარე წლის იანვარში გამოგვიგზავნა მართო სამოცი ზომის ას ორმოცდაათი ცალი სვიტრი, თქვენ კი სამოცდაორი, სამოცდაოთხი, სამოცდაექვსი, სამოცდაათი ზომის ტანსაცმელი გჭირდებათ. სილნლის სამკერვალო ფაბრიკას გასულ წელს უნდა გამოგვზავნა ორმოცდაათი ათასი მანეთის საქონელი, მაგრამ არც ერთი მანეთისა არ გამოგვიგზავნა, კრწანისის წინდების ფაბრიკა მხოლოდ ოცდაშვიდი ზომის წინდებს გვიწოდის, თქვენი მოთხოვნილება კი ოცდაათის ზევიითაა. რა ვქნათ?! რა ვიღონოთ?! რა ჩავაცვათ?!

დარბაზში ისეთი აურზაური ატყდა, რომ კედლებში კარგა ხნის წინ გაჩენილმა ღრიჭომ კიდეც ორი სანტიმეტრით გასწია ყბები და დამსკდარმა კედლებმა გადმეწიფებული ბროწეულივით დააღეს პირო.

ტრიბუნაზე ავიდა გოლიათების წარმომადგენელი.

— ამხანაგო ვაჭრობის მუშაობო! თქვენი ავადმასხენებელი ჩავარდეს ისეთ მდგომარეობაში როგორშიც ჩვენა ვართ! აქ ნაყიდი პერანგი ჭიპამდე გვწვდება, მარვალი — კანჭამდე, ჩვენი ზომისა

არც ფესსაცმელი იშოვება და არც ტანსაცმელი, კოსტიუმი შეკლავს არ არის და ლაბადი, პალტო, ზე სომ შედმეტრია... პარაკი! ამიტომაც, სომ არ ხვობია, დავაყენოთ საკითხი ვაჭრობის სამინისტროს წინაშე ამ მალაზიის ყოფნა-არყოფნის შესახებ?!

— არავითარ შემთხვევაში! — წამოვარდა ადგილიდან ყველაზე პატარა ტანის მომხმარებელი, — მე პირადად მოხიბლული ვარ ამ მალაზიით, აწერია „გოლიათი“, მაგრამ წარწერას რა მნიშვნელობა აქვს? აქ ვშოულობთ მე და ჩემი მეგობრები ტანსაცმელს, ფესსაცმელს!

— მაშინ, „გოლიათის“ ნაცვლად „ლილიპუტი“ დავარქვათ! — ესროლა რეპლიკა ერთ-ერთმა გოლიათმა.

— როგორ ბედავ შეურაცხყოფას?! სად ნახე აქ ლილიპუტი? ჩვენში ლილიპუტებს რა უნდათ? რაც ენაზე მოგადგება, ყველაფერი კი არ უნდა წამოროშო!

— ამხანაგებო! ამხანაგებო! ყური დამიგდეთ! — გაშალა ხელები საშუალო ტანის მამაკაცმა. დიდებული სანელწოდან მოვიგონე: მალაზიას დავარქვათ „ჩია და გოლიათი“, ამით არც მწვადი დაიწვეება, არც შამფური!..


„გარტია!“, „არა უშავს!“, „არ ივარგებს!“ — აირია ერთმანეთში, მაგრამ შეთანხმება მაინც ვერ იქნა მიღწეული. ბოლოს გადაწყვიტეს, საკითხი განსახილველად ვაჭრობისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებისათვის გადაეგზავნათ. ვნახოთ, რას გადაწყვიტენ სელმძღვანელი ამხანაგებო!

ვალერიან მაგუკალაშვილი



ილუსტრაციები X. ლოლუასი

მიუხედავად გარკვეული ძვრებისა, ნაკლოვანებანი რჩება ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაობაში. ამისთან აქ ყველაზე მეტ შემოთებას იწვევს ის, რომ დატაცებებს თვით რკინიგზისა და გასამხედროებული დაცვის წარმომადგენლები სჩადიან.



ნახ. გ. ლომიძისა

— მოიცა, შე კაცო, კი არ გიჭერ, ჩემი სახლის მისამართს მოგცემ და ბარემ ესეც გააყოლე!

საკანონმდებლო

(ზარღობითი არითმეტიკა)

- დაწინა 3, მომცა 5, ავიღოთ 4 (ზოგიერთი ტაქსისტის არითმეტიკა).
- მიპასუხა 3-ზე, დიწერება 4-ც, ვუწერ 5-ს (პროტექტორის არითმეტიკა).
- შვეფარდა 5, მომიტანა 4, მიეუსაჯე 3 (მექრთამე მოხამართლის არითმეტიკა).
- 2+2=5 (ზოგიერთი ოფიცინანტის არითმეტიკა).
- მიკითხვის 6, მომცეს 5, გავიდა 4, დარჩა 1 (მსჯავრდებულის არითმეტიკა).
- ღანძარჯა 7 მილიონი, დაჯდა 8 მილიონი (კომინატორი სახლმშენებლის არითმეტიკა).
- საბუშარს დამთავრებას აკლია 0,2, წავუმატოთ 0,3, გეგმის შესრულება იქნება 110% (წამამატებლის არითმეტიკა).
- ეკუთვნის პრემია 300, გამოვუწერე 400, მეკუთვნის 200 (წამგლეჯის არითმეტიკა).
- ლიტრი — 31 კაპ., 2 (დაემარგვალოთ) — 70 კაპ., ხურდა მაქვს 20, 15 და 5 კაპ., ე. ი. მანეთიდან უნდა დავუბრუნო 25 კაპ. (რძის ზოგიერთი გამყიდველის არითმეტიკა).
- სტიკანდია — 50, მამის გამოგზავნილი — 100. გადავდოთ სახარჯოდ და ვალებს დასაფარავად 120, კინოსთვის — 10. ჯინსისთვის დასამატებელი — 20, დარჩენილი ცარიელი სიმრავლე — ახალი წიგნებისათვის (ზოგიერთი სტუდენტის არითმეტიკა).
- ავანსით გავისტუმრე ვალი 100 მან., ვისესხე — 100, რესტორანში დავხარჯე 100, დამრჩა 100 მან. ვალი (ლოთის არითმეტიკა).
- მსაათის ნაცვლად გამოვცხადდი 10-ზე, დამაგვიანდა რილაც 5 წუთი (დაგვიანებული თანამშრომლის არითმეტიკა).


აკოლონ ბასილიანი

გვეიმედები მეგობრად, კაცად და მამულიშვილად! ლექსსაც კი გიძღვნი!.. გეყოფა ჩვენი ყვედრება ხშირ-ხშირად! ხარ საოცარი მშრომელი, ნაღდი, ალალი, გულწრფელი, გულით თბილი და ნათელი, სუფთა, ვით თეთრი ფურცელი! მრავალგან ნამუშევარო, გამოცდილ-გამობრძმედილო, გამრჯევე და შრომისმოყვარე, კაცო, საოცრად კეთილო, მე მეგონი, ახლა დრო არი, რომ დააფასო დედილო! — დედა გირეცხავს, გიკვრავს, გივლის ფსიზელს და ნამთვრალევს!.. მარტო შენ ჰყავხარ იმედად, ყავარჯნად, წამლად, სათვალედ!.. შენი გულისთვის რას თმობდა, რამდენჯერ უკან იხევდა! ახლა მას უნდა იმედი, ნუგეში, სითბო, მიხედვა!.. გულსაც უჩივის, წნუვასაც!.. რატომ ჩავარდა ამ დღეში? შვილიშვილები რომ ჰყავდეს და რომ ხარობდეს ბაღლებში, გულისტკივილიც გავულის, არც წნევას დაემდურება! შენს უცოლობას განიცდის! — ეს არის უბედურება! რას ელოდები, არ ვიცით, მარტო როდემდე იარო? ცოლი შეირთე, ძმობილო ჩუმო და სახეშინაო!.. ოჯახში ბავშვი ატირდეს, გულში შენც უნდა ნატრობდე! შვილებს არც ჭიქა ამრავლებს, არც სადღევრძელო მარტოდენ!

„დამრიგებელი“

მოდგა ეს ჩემი ძმაკაცი, ენა ბეჭებზე გაიღო: — „მამულს შვილები სჭირდება! ეს კარგად უნდა ვაიგო!.. არ უნდა იყოს ვაჟკაცი მეთავისე და ურგება. ა, სტატისტიკა ბატონო, აგერ გაზვიტე, თუ გნებავთ! სულ დავცოტავდით, რაღა ვართ, ამდენილა ვართ უკლებლად!.. იმ სულმნათ პოეტს ვისხენებ, დარდი ამ გულსაც სწყევია: „რა ერთსა გვემდნენ, ათასნი ეგრეთა მოგერევიან!..“ ესაა ქვეყნის დიდება, ფუძე სვალისა მაგარი! შეილია სუყველაფერი, შეილია შენ იცი, რაც არი! — სვალინდელია იმედი, ნატვრა, ოცნების ანდენა, ბურჯი, სიცოცხლე მამულის და სიამაყე ამნელა!.. ეგ სამი შეილი ცოტაა, მათ კიდევ უნდათ და-ძმანი!“ ვუსმინე კარგა ხანი და მერე კი ენა დაეძარი: ვუთხარ: „ორმოცი წლისა ხარ, დადინარ ეგრე არამად! თვითონ რამდენი შეილი გყავს?“ თქვა: „პირობები არა მაქვს!“

შოთა ხოდავანი



ნახ. შ. ლელაძის

— ესაა, ბიჭო, მანქანა მომცესო? ამაზე დაიხარჯე?!
— მმართველმა მითხრა, სამ თვეში ამოიღებ დანახარჯსო!

ცინად აღება

იუმორისკა

თავმჯდომარე: ამხანაგებო! ჩვენმა მეურნეობამ, ისევე როგორც წინა წლებში, ამჯერადაც გადიდებული ვალდებულებები იკისრა და მხარი დაუჭირა მრავალ პატრიოტულ თაოსნობას. აბა, მივიხედ-მოვიხედოთ და კიდევ ერთხელ ვნახოთ საამაყო დევიზები და ლოზუნგები:

- „არც ერთი წაქცეული ვაზი — ჩვენს ვენახებში!“
- „წელიწადი — ცხრა თვეში!“
- „თვე — ორ კვირაში!“
- „კვირა — სამ დღეში!“
- „სამი დღე — დღენახევარში!“
- „საათი — წუთში!“
- „წუთი — წამში!“

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ჩვენ უსაზღვროდ აღგვაფართოვანებს და მოგვიწოდებს ახალ-ახალი მიღწევებისაკენ. წინადადება შემომაქვს, წამოვიწყოთ ახალი თაოსნობა: ერთ ძირ ვაზზე მივიღოთ იმდენი მტევანი, რამდენიც გასულ წელს მივიღეთ სამ ძირ ვაზზე! (მეჩხერი ტაში).

ძია სიმონი: ერთი შეკითხვა მაქვს შენთან, თავმჯდომარე!

თავმჯდომარე: ბრძანეთ, ძია სიმონ, გისმენთ!

სიმონი: ახლა საცაა რთველი იწყება და ეგ როგორ უნდა მოხერხდეს, რომ ვაზზე მტევნების რაოდენობა გაიზარდოს?

თავმჯდომარე: თუ მოვიწოდებთ, შევძლებთ!

სიმონი: მერე კიდევ ისა, რომ ეგ ლოზუნგები, თქვენ რო წამააყენეთ, საჩვენო არ არი.

თავმჯდომარე: როგორაო?! იქნებ არ მოგწონს?!

სიმონი: როგორ არ მომწონს, მაგრამ სოფელს როგორღაც არ ესადაგება. წელიწადი ცხრა თვეშიო, რო ვიძახოთ, მაშინ რა გამოვა?! ქარხანასა და ფაბრიკაში კიდევ ჰო, მაგრამ ვენახსა და ყანაში ყველაფერს თავისი დრო და ყავლი აქვს! უკრე ყოფილა და ეგრე იქნება! ყურძენს ორ კვირაში ხო ვერ დაამწიფებ?!

თავმჯდომარე: შენ იქნებ არც ეს დევიზი მოგწონს: „არც ერთი წაქცეული ვაზი — ჩვენს ვენახში!“

სიმონი: მომწონს, როგორ არ მომწონს, პირველად როდი მესმის, სულ მაგას არ გავიძახით?!

თავმჯდომარე: ძია სიმონ, წინასწარ თუ გეგმები არ დავსახეთ და არ მოვითათბირეთ, ისე როგორ

შეიძლება?! თუ არ დავწერეთ და არ გავაფორმეთ, როგორ იქნება?!

სიმონი: რა ვიცი, შვილო, ალბათ ეგრეა, მაგრამ მე კი ვხედავ, რომ ამდენი წელიწადია ერთსა და იმავეს გავიძახით, საქმე კი ოჩანი სახედარივით ერთ ადგილზე დგას.

თავმჯდომარე: აბა, როგორ მოვიქცეთ? იქნებ თქვენ რაიმე ახალი რაციონალური წინადადება გაქვთ? ბრძანეთ, ვიმსჯელებთ, მივიღებთ, დავწერთ, რაიონს ვაცნობებთ, რესპუბლიკას!

სიმონი: რატომაც არა მაქვს!

თავმჯდომარე: ბრძანეთ!

სიმონი: მე ასეთი წინადადება შემომაქვს კრების წინაშე: ამდენ ლაპარაკსა და თათბირობანას ისა სჯობია, ახლავე წავიდეთ, რთველი დროულად მოვამთავროთ! მემრე სარები მოვზილოთ, ლარები წესიერად გავჭიმოთ და ვაზი რიგიანად მივაბათ. თუ ამას გავაკეთებთ, მომავალ სეზონზე ემაგ ლოზუნგის ძახილიც აღარ დავგჭირდება! თორე რა გამოდის: დავმდგარვართ და ვყვირით, ესა ვქნათ, ისა ვქნათო! ავდგეთ და გავაკეთოთ, უფრო იოლი არ არის?!

ლერი ჩანტლაძე

საქართველო ჰეოდაქოზადური

იუმორისტული ღიზიკა

პატარა ქალები

დიდი ძალა აქვთ პატარა ქალებს,
დიდი ძალა პატარა ქალი!..
ამეტყველებენ დიდროვან თვალებს, —
თვალია მათი ფარი და ხმალი!
იწყებენ ომს და... უნდათ მშვიდობა!
ქალები — ქვეყნის მეფეთ მეფენი!..
და გულს, გრძნობებით სავსე კიდობანს,
ხარჯავენ ჭკუამოიფენი!
მცირე ძალა აქვთ პატარა ქალებს
და დიდ საქმეთა კეთება უყვართ!
დაატარებენ ადრებს და დარებს,
არა სწევით დახვეა უკან!
სიცოცხლეს ფართოდ უღებენ კარებს
და სხვებსა ხდიან სიცოცხლის მფლობელს!
სიცოცხლე უყვართ პატარა ქალებს
და სიცოცხლისთვის სიცოცხლეს თმობენ!



ჭეშმარიტი მომღერალი

აი, სურათი უღამაზენი:
უელმოღერილი ვალობს ფრთოსანი.
არც სცენა უნდა, არცა ნოტები,
არც საგანგებო შესამოსავი.
ის ისე მღერის, არც მოსდის აზრად
რა გულისყურით უსმენს ბუნება,
ის ჭეშმარიტი მგალობელია, —
არ ვალობს, თუ არ მოეგუნება.
მის ხმაში ისმის ზარი, ზეობა,
ღელვა, წუსილი და დადინჯება,
ის ჭეშმარიტი მომღერალია,
მსმენელისათვის როდი ირჯება!..
უმიშობდა: ისე არ ჩაითრიოს
თვისივე ჰანგის ერთმა მოტივმა,
რომ თავი სულ არ გადააიწყდეს,
დაბნედილი არ მოწყდეს ტოტიდან!...

ბონების ქალა

მახლში მაქვს ჯადოსნური სარკე,
თვალთა წინ — ფერადი ხედები,
მისით ქვეყნის საქმეს ვარკვევ,
ქვეყნის საქმეებში ვიხედები...
სხვები ტელევიზორს არქმევენ,
ჩემთვის ჯადოსნური სარკეა,
ტელევიზორია თუ სარკეა, —
არცა ღირს დავა და ვარკვევა!
მთავარი ის არის, რომ ამ სარკით
ვერძნობ, რა დიდი მაქვს ქონება,
და ქვეყნის საქმეებთან ერთად ვარკვევ. —
რა ძალუძს ძეკაციის გონებას!

თქვენ დაინახეთ!..

თქვენ დაინახეთ ყოფილი ცოლი
და კაცყოფილსა დაგარქმევდათ
იმ წუთში კაცი!
გათავისუფლდით ღონით და გონით,
გადაგეფართ ნატება ნაცრით!
არც შეუნიშნავს წართმევა ღონის,
არც კვალი ნაცრის, არცა რამ განცდის...
გზას მიჰყვებოდა აყვავებული
ყოფილი ცოლი... მალალი კაცით.

შემოდგომის სურათი

ცაზე ღრუბელი მიმოდის
და ღობე-ყორეს ედება!..
ღულს გადარევით მაჭარი,
ქვევრებში ვეღარ ეტევა!..
მოჩანს აკიდო მტევენებით,
მზით მოკმეული საკმელი,
და გადახდილი ქვევრები —
მიწის ათასი სარკმელი.
მაინც რა არის მაჭარი, —
გეძახის, სვამ და... გინდება!
ტუჩი მოკიდე, რაც არის
და... თვითონ მოეკიდება!

ნეტავ, ვინოღა!..

ნეტავ ვინოღა, რას იწონის ლოთის
ფეხები, —
პატრონი ვერასდიდებით რომ ვეღარა
სძრავს,
რომ ვერ ამართა და მალღამალ კედლებს
ესლება,
რა სიმძიმე აქვს ამნაირი მომჩატო თავს?
ჩაკლა კი ღვინით სიმძიმელი, თუ...
სიმძიმელი

დამძიმებული თავ-ფეხისა ათასგზის კლავს?
სად გაეპარა მსუბუქი და ლაღი ღიმილი,
რა ქლონობა შემოიჩნდა ტანსა და მკლავს?
რას, რას იწონის ლოთის თავი, ანდა
ფეხები.
რომ მათ გაძლოლას ვეღარ ართმევს
პატრონი თავს?



პოეტი კარგად უნდა ცნობრობდეს, —
ღმერთმა არ მოაკლოს წუსილი!..
პოეტი კარგად უნდა ცნობრობდეს, —
ზენამ ლინი ხილად უხილოს!..
პოეტი კარგად უნდა ცნობრობდეს, —
ერთგულმა აგემოს ღლატი!..
ასე... კარგად უნდა ცნობრობდეს, —
ღარდი უნდა კლავდეს მარადი!



გალაკტიონის შემდეგ

წრიპის მოეშვი, კალამო,
გულო ცოდვილო, შესდექ!
ლექსებს ვწერ (ღმერთმა დალაზვროს!)
გალაკტიონის შემდეგ!
გწადია რამე სახელი,
თუ რას მოელი შედეგს,
ან რა დაგირჩა ხათქმელი
გალაკტიონის შემდეგ?
მალღით მზირალო, ვით არს ჯერ,
მოშიარე და შემდექ!..
თუმც სხვა რა დასჯა? —
ლექსებს ვწერ
გალაკტიონის შემდეგ!..
ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



ნოველა

ჩემი დაბადების დღე იყო. მე, რასაკვირველია, სამშობლოდან პირდაპირ სახლში გავვარდი და არსად გავჩერებულვარ.

ვკვები ლიფტში. თითქოს ჯიბრზე, ლიფტის კარი არ იღება. ჩაიკეტა, მორჩა და გათავდა! ხან იქიდან მივაწევი, ხან — აქედან, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! სულ ამაოდ დავშვრი. მოკლედ, გავიჭედე ამ ჩემს მერვე სართულზე. ეს მინდოდა? თანაც ასეთ დღეს. ახია ჩემსე!... ტუფილად კი არ მიმტიკებხ ჩემი ცოლი წარამარა, ამ წნის კაცი ხარო და... ემ, სკოლს ნუ მოთქმევიანბო! ხომ მერჩია, უბრალოდ ფეხით ავსულიყავი და ყველაფერი, ამერიკელებისა არ იყოს, იქნებოდა ოკეი.

გდგავარ ლიფტის კაბინაში. კაციწვილი არ ჩანს.

— ფედიუშა, გამარჯობა! — შევყვირე სიხარულით, როდესაც დავინახე, როგორ ამოდოდა კიბეზე ვაი-ვიშით ჩემი ძველი მეგობარი.

— სალამი, ძველო! მანდ რას აკეთებ? სტუმრებს ხვდები? — შტერიო! სად გაგიგია სტუმრებს გალიაში გამომწყვედულნი ხვდებოდნენ? გავიჭედე, გესმის, გავიჭედე!

ფედიამ მაშინვე განგაში ატეხა და ერთი ამბავი დააწია. წვილ-კვილით გამოვარდა ჩემი მეორე ნახევარი. უკან სტუმრები მოჰყვნენ.

— ვიტოვო, ძვირფასო, ეგ რა მოგზავლია? სცადე, რომელიმე ლიდაკ დაპირე თითი! — ტუკუს მასწავლის ცოლი.

— ვცადე, მაგრამ მეტი არ არის ჩემი შტერიო! — შევტირე მე.

ჩემს მეგობარს ვილაყ ახმახი მოეყვანა, რომელიც ძლივს მომაცანლებდა. მას ღვინით სავსე ხასმისი მთაროვებს, დასაყოლებელიც, და ყველა ერთად შეევედრა, ლიფტიდან გამოსვლაში დამხმარებოდა. იმანაც თვალის დახამხამებაში გადაკრა, რაც ტუქაში ესხა, და მერე ტუჩების წლაკუნით მოვიდა ლიფტთან.

— ძმებო, მე იატაკის მხეხავი ვარ, ამ ტექნიკისა არაფერი გამეგება! — ჩაიბურტყუნა მან, კიბეზე დაეშვა და ძილი ნებისა მისურვა. აბა, ეს ყოფილა მულერგის იატაკის მხეხავიო! წადი, შენი!

ყველა კიბისთავე გამოლაგა და ერთი ალიაქოთი შეიქმნა. აღარ იცოდნენ, როგორ ეშველათ საქმისთვის.

— მოდიო, რაც იყოს, იყოს! მაგიდა გამოვიტანოთ და აქ აღვნიშნოთ ვიტოუშას დაბადების დღე! — წამოაყენა წინადადება ჩემმა ძმაკაცმა ბუნანქინმა. — მართალია! დიდებული აზრია! — ბანი მისცეს დანარჩენებმა. — აბა, არიქა. ბიჭებო!..

ატყდა სირბილი, ყველა დაფაცურდა. ზოგს მაგიდა მოჰქონდა, ზოგს — სკამი, მაგნიტოფონი, შემწვარი იხვი, ჩემი საყვარელი ღვეწი, კომბოსტოთი შეწავებული. მაგიდა ლიფტის კაბინის წინ დადგეს, და თვითონაც შემოუსხდნენ.

— ეს ჩვენი ზემის მიწვევს, ჩვენს ვიტოუშას გაუმარჯოს! — წარმოთქვა სადღეგრძელო ფილიუშინმა.

ყველამ სულმოუთქმელად გამოცალა სასმისი.

— დაე, სულ ასე გემხიარულოთ, ვაშააა! — აყროყინდა ბარანკინი.

ყუყუჩი, ვირი! ეს რა სადღეგრძელოა?! — ვფიქრობდი ჩემთვის. ნეტავ რა უნდოდა, ეთქვა? ეს ვისთან მქონია საქმე ამდენ ხანს?

— მეც მაჭამეთ რამე! — დავუძახე მოთმინებიდან გამოსულმა.

პეტია მაშინვე ადგა და ოთახიდან პულვერისატორი გამოიტანა.

— ახლო მოიწი, წამებულო, და პირი გააღე, რაც შეგიძლია! — მიბრძანა მან და ლიფტს უედ მოადგა.

უხმოდ დავემორჩილე. პეტიამ რკინის ბადეში პულვერისატორი შემოყო და სხურება დაიწყო. თვითონაც გვარიანად იყო შეზარბოებული.

მთელი სახე კონიაკისა და სუნაშობის შენაწავით მქონდა დამბალი. ყველა სიცოლით კვდებოდა ჩემი საცოდაობით.

— რეგვენო, — ვეუბნები მე, — თანაბრად მაინც დაიჭირე ეგ ოხერი.

— ამას დამიხედეთ, — სტუმრებს მიუბრუნდა პეტია, — ასმევენ და ეს მაინც უკმაყოფილებას გამოთქვამს.

— ჯანდაბას შენი თავი!..

ცოლმა ბადის ზვრელში რის ვაი-ვაგლახით შემოაძვრინა რამდენიმე სოსისი. მეზობლის ბიჭი, იგოროკი, თავის სამთვლიან ველოსიპედზე გადამჯდარი, პურის რბილი ნაწილიდან ბურთულებს აკეთებდა და კაბინაში მიყრიდა.

სტუმრები ღრმოდნენ. სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოსდევდა. ვილაყ წითური, რომელსაც პირველად გზედავდი, მადიანად ილუკებოდა და პირში შემწვარი იხვის ხორცს იტენინდა. მე კი ნერწყვის ყლაპვამ გამათავა.

— ეი, ღორმუცელავ, ერთი ნაჭერი მაინც დამიტოვე! მაგ იხვისთვის, შე ყუენო, მთელი სამი საათი ვიდექი! — დავუღრიალე, მაგრამ ჩემთვის აღარავის ეცალა. ყველა პირმოხელი მღეროდა.

...უკვე გვიან იყო. სტუმრები თანდათან დაიშლნენ, გამასპინძლებისთვის მადლობა გადამიხადეს, თან ბედნიერება და წარმატებებიც მისურვეს. მაგიდასთან მარტო ცოლი დარჩა, მის პირდაპირ კი — მე... ლიფტში!..


უცბად საიდანაც მილიციის მუშაკები გაჩნდნენ. რაღაცნაირად ლიფტის კაბინა გააღეს და განყოფილებაში წამაბრძანეს. ხულიგნობა დამწამეს და დამაჯარიმეს კიდევ.

მას შემდეგ ლიფტს ახლოს აღარ ვეკარები. სულ ფეხით ავდივარ მერვე სართულზე. გულს ვავარჯიშებ და ფულსაც ვიზოგავ.

რუსულიდან თარგმანა ბიორბი ჯაბაშვილმა

გამასხენდა, ძველად რომ მღეროდნენ გოგოები, გულდამწვარნი სატრფოს დაშორებით: „დროთა სიაში ორი დრო არი: დრო შეყვარების, დრო განშორების“. დრო განშორების რომ დაუღვათ კატოს და ვანოს (როცა ერთმანეთზე გული აიყარეს), ერთ მშვენიერ დღეს დაწერეს განცხადება და ერთ ჯანდიან დღეს გაიყარნენ. — კი მაგრამ, ბიჭი! ბიჭი, სალხნო! ბიჭი რომ დარჩა? ამ ფიქრს რა ხელი ჰქონდა იმათთან! კატო გაფრინდა თავის „იმასთან“, ვანო წაბრძანდა თავის „იმასთან“! იქნებ არ უნდა გავამტყუნოთ, ჰა, თქვენ რას იტყვი? თუ წლებს მანძილზე დატანჯნენ, თუ წლების მანძილზე ითმენდნენ ერთმანეთს, როცა ერთმანეთს კვლავ იტანდნენ. თუ ქმარი გყავს, გელოანი გქვია (დავუფიქრდეთ!) და მაინც დაესეტები ცალად, მართალი ყოფილა ხალხის ნათქვამი, რომ სიყვარული არ მოდის ძალად. იცით, რას გეტყვით ცოლსაც და ქმარსაც? (ქმარსაც წაუღია თქვენი თავი!) ის ბიჭი რომ შეატოვეთ ავაფიყოვ ბებიას, თქვენ ადამიანობაში წილი არ გდებიათ! თუკი შენს ახალ ქმარს, კატო ხარ თუ ვილაყ, არ ეპიტნავებოდა შენი ბავშვი, თუ შვილსაც არ უქმნიდი ბედნიერებას, სად მიშავდებოდი მამუნი? ეთქვათ (ფუ ეშმაკსა და მტერსა და ავს!), შენი შვილი უძირო ჭაობში იფლობა, სადა ხარ, სამიწვეს, სად არის ამ დროს შენი დელობრივი პასუსისმგებლობა?! იმ თქვენმა მიგდებულმა შვილმა (ღმერთმა გვაშოროს!) რომ ჩაიდინოს რაიმე ავი, ის კი არ უნდა დაისაჯოს, თქვენ, ორივეს, უნდა ვიკრათ კაცმა ციხეში თავი! რამ ავიყარათ შვილზე გული, უკულმართებო?! სადმე გინახავთ ასეთი დედ-მამა? დედა-ბუნდა აუტყდეს იმ დედას და მამალმა მგელმა დანთქას ის მამა! სოფელი, მართლაც, გონიერია და კეთილი, თქვენს შვილსაც ის კაცად გამოიყვანს. მოგენატრებთ მისი დედმამობა, მოვა ის თქვენთან?! ვალი თუ სიყვარული — რა მოიყვანს?!

ლალი პარტაშვილი



ნახ. რ. დრუკავანიკა

— ნუ შეშამე ამ შვილებით! მალე ახალ ფერმას აგვიშენებენ და...

ნახ. ჯ. ლოლუასი



— ეშმაკი რომ შემოვიჩნდება, აიღებ ქრთამს, აბა, რას იზამ?!

კრძ

ხავსი, როგორც კახური,
ეკიდება, არ სძულს;
საქმეს ვერვინ იხილავს
მისი ხელით „დაძრულს“;
მე არ ვიცი, ვინ უყვარს
ბოღმით ვადამბერულს!

იკებება ნაჭუჭში —
თავის „იალბუზზე“;
რა ხანია, მაკვირს,
რა ხანია, ვუმზერ —
სატკივარი ქვეყნის
არა ხვდება გულზე!

მართალია, შორით
ვრისკაცსაც მოჰკავს;
გაგიყადრებს როგორ
თავს, იგივე გოგრას;
სტომაქისთვის იღვწის,
სტომაქისთვის შორგავს!

იღრინება მუდამ
მომდურავი იღბლის;
თუ შეეხე თითით,
რაც აცვია, იბღვინის;
თავს მოუსვალ რითი? —
ოსტატია ნიღბის!

მე-ს აკვდება! შენთვის
ლაარისებს ზეფას!..
წარბს არ გახსნის წამით,
ღღუბს ისე კეცავს;
თუნდ გვიღოს ცაცხლი,
არ მოგაწვდის წვეთსაც!

არაფერი წმინდა
არ არსებობს მისთვის;
ჩვენი წელთაღრიცხვით
მარტო ოქროს ითვლის;
უნოა და მაინც,
მაინც კაცად ითქმის!..

ზაზა კასიაშვილი

კვანდაც უყურებს!

(რეცენზიის მაგიერ)

ამ ხუთიოდე წლის წინათ ახალგაზრდა პოეტმა კიკილო კაკაურიძემ (ამჟამად იგი მხოლოდ 45 წლისაა) მორიდებულად შემოაღო ქართული მწერლობის კარი და თავისი ალალი სათქმელი მოიტანა. როგორც მისალოდნელი იყო, ნიჭიერმა ჰაბუკმა პირველივე ლექსებით მიიბყრო ჩვენი მომთხოვნი, ობიექტური მკითხველის ყურადღება. დღესდღეობით ყოველ ხელთა გვაქვს ამ საიმედო შემოქმედის პირველი წიგნი — „ახალგაზრდა კაკაურიძე“, რომელიც გამოჩენისთანავე დაიტაცეს მისი ტალანტის თავყანისმკემლებმა და ახლა მათ თაროებს ამშვენებს.

რაზედაც უნდა წერდეს ამ წიგნის ავტორი, ყველაფერში სიცოცხლე, გულწრფელობა და თანდაყოლილი ნიჭი გამოსჭვივს.

აი, თუნდაც როგორი რაინდული თავშეკავებითა და კეთილშობილური სინანულით მიმართავს იგი მისდამი უარყოფითად განწყობილ არსებას:

„ქალო, შენ კი შემოგვვლი,
რას მემდურნი, რასაო,
რად დამტოვე, გულში რატომ
გამჩყარე რაზაო?“

მართლა ჭკა უნდა იყოს ადამიანი, ამ სიტყვებში რომ არ მოაღბოს და თანაგრძნობით არ შეხედოს მის დამწერს. განსაკუთრებული სიყვარულით გაუცოცხლებია ახალგაზრდა პოეტს ბავშვობის შთაბეჭდილებანი, მისგან მიტოვებულ მშობლიურ სოფელში გატარებული დაუვიწყარი დღეები.

კეთილშობილად ამ შთაბეჭედულ სტრიქონებს და ყურში საამოდ ჩაგესმის ანკარა ნაქაღულების დღღუნნი, ყვავილებში მოფუსფუსე მუშა ფუტკრების პუტუნნი, მზეზე გაწოლილი ბისოების კრუტუნნი, ეზოში მობალახე ბონოლების ფრუტუნნი, ტალახში ამოგანგლული ბურვაკების ღრუტუნნი და სხვა ამისთანები.

მთელ რიგ ლექსებში აშკარად იგრძნობა ცხოვრებაზე ფილოსოფიური დაკვირვების უნარი — ავტორი პროტესტს უცხადებს წუთისოფლის მუხანათურ ცვალებადობას და ვაჟკაცურად უპირისპირდება ბედის ტრიალს. დავიმოწმებთ ერთ პატარა ნიმუშს:

„წახვლა სჯობს წამავალისო,
დასხმა სჯობს დასახხმელისო,
უნდა დავისხა, დავლიო,
ვინ იცის ხვალ რა მელისო?“

მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ისედაც ნათელია, რა პოეტისა და გაქან-გამოქანების შემოქმედთან გვაქვს საქმე. ამ პატარა გამოხმაურებაში ჩვენ ვაკვრით შევეხეთ კიკილო კაკაურიძის მრავალწახნაგოვანი, ღრმად ემოციური ლირიკის ზოგიერთ თავისებურებას. დანარჩენს თავად ვაარკვევს ჩვენი პირუტყვი მკითხველი. გვა დავულოცოთ პირველი წიგნის ჩუმ, უპრეტენზიო ავტორს! როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, ეს ერთი და სხვა ათასი.. ღმერთმა უმრავლოს ჩვენს მამულს კიკილოსთანა ხელმადლიანი კალმოსნები!

სოსი ტურაბა

- მითხარი, რა მღერი გაქვს ხელფასი და გიტყვი, რით იყიდე „ვოლგა“!
- კომპინენტარის ცოლმა თქვა: სათქმელი რა და მაქვს, პირი ხიზილალითა მაქვს ხავხე და ხედები — ბრილიანტებითო.
- ყხალნი წავლენ და წამოვლენ, ქეშანი მოჰყვებიანო.



ნიკოლოზ იოსებია



გელა ხერგიანი, ემზარ ჯაფარიძე — ერიდებოდნენ ჯაფას და შრომას, მიატოვეს მშობლიური მესტია, თბილისში მიაგნეს ქურდების ბუდეს. ბინებიც ბლომად ვატყეხეს და სახელიც ვაიტყეხეს, თან ოჯახებსაც თავსატეხი ვაუჩინეს. მათ შვიდ-შვიდი წლით მიუჩინეს „მყუდრო ბინა“.

წინანდლის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტს ლევან შამულაშვილს, ღვიოს რომ დაღვედა, დიდ მამულიშვილად მოჰქონდა თავი. ერთხელ მაგრად გამოთვრა, ტრაქტორი კედელს დააჯახა და თვითონ დანით ხელში მწყემსების ბინაში შეიჭრა. დანა რომ წაართვეს, ნოდარ ფოცხვერაშვილს დაედევნა თოფით, იგინებოდა, ილანძღებოდა, ხალხს აწიოკებდა და მანამ არ მოისვენა, სანამ საბრაღდებულს სკამზე არ დასვეს და სამი წლით არ „დააწყნარეს“.

რესტორან „წყნეთის“ მებუფეტე თეიმურაზ გოგიაშვილი და ამავე სოფლის კინოთეატრის კინომექანიკოსი იოსებ წენგუაშვილი მანგლისში მიმალულ მერაბ ვალუაშვილს დაუკავშირდნენ და ერთობლივად შეუდგნენ „უიგულებს“ „გასუფთავებას“, ზოგჯერ თანასოფლებლებს ბატონებსაც ჰპარავდნენ, თავი კი მამა აბრამის ბატონებად მოჰქონდათ.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა „უიგულის“ ნაწილებისა და ბატონების მოყვარულებს შადა ერთბაშად დაუკარგეს, მიაბრძანეს, სადაც ჯერ არს.

თ. გოგიაშვილს, ი. წენგუაშვილსა და მ. ვალუაშვილს ჭკუით უსაქმურმა ემზარ ბაქრაძემ აჯობა — იგი მსუბუქ ავტომანქანებს იპა-

რავდა. ამ გზით მან ერთხელ 4.000, ხოლო მეორედ — 1.900 მანეთი ჩაიჯობა (ბოლო მანქანა სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში აწაზავილდა).

ემზარის შავბნელ საქმეებს შინაგან საქმეთა თბილისის 25-ე მისიის რაიგანყოფილების სავამომხიებლო ქვეგანყოფილების უფროსმა მიხეილ ნამგალაურმა დაუსვა წერტილი.

„თბილისილბოსტანვაჭრობის“ ორჯონიკიძის რაიგანყოფილების მთავარი ბულალტერი ვენერა გურუმიძე მძღოლ-ექსპედიტორებს შოთა დეკანოზიძესა და ვიორჯი ვიორგაძეს უწერდა შემოსავალ-გასავლის ყაღბ ფაქტურებს, მინდობილობებს და ამ ხერხით, სამივემ დიდძალი „ხელის ჭუჭყი“ — 95.718 მანეთი „გააიმასქეს“.

თბილისის სახალხო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ (თავმჯდომარე ემზარ კვარაცხელია) ვ. გურუმიძეს 12 წლით, ხოლო შ. დეკანოზიძესა და ვ. ვიორგაძეს 10-10 წლით „დასვენება“ შეუფარდა სასჯელად.


„შესანიშნავი სამეული“ — ალექსანდრე ტეტიაშვილი, თემურ ურდულაშვილი და ავთანდილ როსტიაშვილი. ალექსანდრე საგარეოს საზღვების“ ობიექტში მოუშობდა მებუფეტე. ერთ არამეფიერი დღეს იგი გვარიანად გაიტრიტა, მიუჯდა თავისი ავტომანქანის საჭეს (თუმცა მართვის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა) და თემურ ურდულაშვილთან ერთად ქვემო სამგორის დასახლებისკენ გაქანდა. გზაში მანქანა ფეხით მოსიარულე ზ. ქარსეაძეს დააჯახა (რომელიც მიმედ დაშავდა) და მანქანიანად მიიმალა. მეორე დღეს კი ავთანდილ როსტიაშვილის ძმაბიჭური დახმარებით იშოვა ახალი ნაწილები და შეუდგნენ მანქანის რემონტს.

საგარეოს სახალხო სასამართლომ ა. ტეტიაშვილს 6 წლით, ხოლო თ. ურდულაშვილსა და ა. როსტიაშვილს 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა (ამ ორ უკანასკნელს — პირობით, შრომაში სავალდებულო ჩაბმით).

ვასილ სოლოვიანოვი — რეკორდსმენი ავტომანქანების ძარცვა-გატაცების საქმეში. სულ რაღაც ორიოდე თვეში ათი მანქანის გაძარცვა და გატაცება შეძლო. მეორე ეს საქმე იუკადრისა, მოქ. ტრისტან ქველუაძის ბინაში შეჭრა და იქიდან 25.400 მანეთის ნივთები გააყოლა ხელს. ამ ნივთების რეალიზაციის შემდეგ მოქ. მ. სირბილაძის ბინაზე გაქურდა, მაგრამ სირბილაძის მილიციის მუშაკები დაეწივნენ სასტუმრო „უშბასთან“...

ხშირად სასამართლო სხდომის არადამაკმაყოფილებელი მომზადების გამო საქმის გარჩევა გაუმართლებლად გადააქვთ სხვა დროისათვის. ეს ადამიანებს წყვეტს საბუთოს და სამართლიან საყვედურებს იწყებს როგორ შეიძლება მშვიდად შეურიგდე იმას, რომ ერთი სისხლის სამართლის საქმის განხილვა 17-ჯერ გადაიდო და განაჩენი გამოიტანეს ცხრა თვის შემდეგ, როგორც ეს მოხდა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოში?

ნან. 8. ლომიძის



— ამხანაგებო, სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად!

მეჩვენებ

გალაკტიონისებურად

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუალაშე იწვის, დნება, ვამაღვიძებს მეჩუთედ და უკვე აღარ მეძინება! — ხან მანქანა ხრიალებს და ხან ნახვამი ბღავის მგზავრი, ტელეფონის ხარიც რეკავს, ყურმილს ვიღებ ბრაზით, ჯავრით.

ეზოს ირგვლივ, გარავებში, არის ერთი რიარია, მანქანების სიგნალების და ძრაქების გრიალია!.. ვიღაც ლიფტზე მუშტებს ურტყამს, გამორთული რადარიო?!

ცოლი წყევლის: „ღმერთმა ბარემ შევშალოს და ვადავრიოს!“

მეზობელთან ქეიფია, ჩამოინგრეს ჭერი ლამის!.. თვალს ჭოტივით ვაცხცებ და ვდგავარ, როგორც მესრე ლამის.

სადარბაზოს აზანზარებს გარმონის და დოლის ნმები, სადღაც რადიოლაც ჩართეს (მგონი, დასაბმელი კსდები!).

ვიღაც ამბობს სამადლობელს, დღეგრძელებით კმაყოფილი, მე კი ვყვირი: „დამპატიყეთ, ან მაცალეთ, ხალხნო, ძილი!“

მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,

იცის, როგორ უაზროდ ვთვლებ, თვალს როგორ ვახამხამებ,

იცის, თუთრად ვათენებ და არ მჭირდება მღვდიძარა!.. კიდეც კარგი, სამსახურში ძილს უფროსი არ გვიკრძალავს!

პანო ცინცაძე

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სოლოვიანოვი, საქმეში სოლო „გასვლებისათვის“, სოლიდური ვადით — 10 წლით არის საზოგადოებისაგან იზოლირებული.

რეზო კოკორაშვილი — ყვარლის საწარმოო გაერთიანება „ქინძმარაულის“ სატვირთო მანქანის ყოფილი მძღოლი. ჩაჯდა ზაურ გვიშვილის მანქანაში, სოფელ შილდაში ნიკოლოზიშვილების ოჯახში გამოთვრა. გამობრუნებული მიუჯდა საჭეს. გზაზე მანქანა ხეს შეაჯახა და მანქანაში მსხდომი ორი გოგონა ადგილზევე გარდაიცვალა. ათი წელი კი მიუსაჯეს რ. კოკორაშვილს, მაგრამ რა აანაზღაურებს ორ დაკარგულ სანუკვარ სიცოცხლეს?

შაქრო კუჭავა — წყალტუბოს რაიონის სოფელ გეშტიბის კოლმეურნობის № 4 ბრიგადის ყოფილი მწონავი. თავისი კუჭისა და ჯიბის დიდად პატივისმცემელი შაქრო დანაშაულებრივად დაუკავშირდა ლანჩხუთის რაიონის აცანისა და ზომლეის კოლმეურნეობების ხელმძღვრულ საქმოსებს, რათა გეშტიბის ჩაის კრეფის გეგმები ფორმალურად შეესრულებინა. აცანა-ზომლეითი მოკრეფილი ტონობით ჩაის ფოთოლი ვითომ გეშტიბში მოიკრიფა. ამრიგად, ყალბი უწყობის გაფორმების გზით, 11.385 მანეთი დაიტაცა. მას ხელს უწყობდნენ მთავარი ბუღალტერი იონა ჯურხაძე, მთავარი აგრონომი რომან აფხაძე და მექანიზატორი ვიკო ჩინლაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ (თავმჯდომარე რ. ხმალაძე) წყალტუბოში, გამსვლელ სესიაზე, განიხილა დამტაცებელთა საქმე და შ. კუჭავა 10 წლით ჩამოაშორა ჩაის პლანტაციებს, სასწორსა და საზოგადოებას (თან, სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთი წლით აუკრძალა მატერიალურად პასუხისმგებელ პირად მუშაობა).

საკარის მიეზლო შ. კუჭავას თანამზრახველებს — ი. ჯურხაძეს, რ. აფხაძეს და გ. ჩინლაძეს.

სასამართლო კოლეგიამ ცალკე განჩინება გამოიტანა ნიკოლოზ გულენიძეზე, ავთანდილ ომანაძეზე, ჭიჭიკო და ბონდო ჯანგვაძეებზე და მათი საქმე საგამოძიებო ორგანოებს გადასცა ხელმეორედ გამოძიებისათვის.

მაკრატ წილოსანს — ლანჩხუთის ავტოტექნიკოსხაურების სადგურის აკუმულატორების შემკეთებელს, ბინაში აღმოუჩინეს 22.259 მანეთის ღირებულების ავტომანქანების 53 დასახელების დეფიციტური სათადარიგო ნაწილები. სპეკულანტ ბ. წილოსანს დანაშაულისთვის თავისი წილი სასჯელი ერაო — 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით.

შუქრი დვალიშვილმა — ადრე სასამართლევმა, ალკოჰოლისა და ჩხუბის მოყვარულმა, სოფელ დიდ ლილოში სასმელის ზედმეტი დონა მიიღო, გზაზე წაეჩხუბა ვინმე გვი გორგოლიანს და მუცელში დანა ჩაართტყა.

გარდაბნის სახალხო სასამართლომ შ. დვალიშვილი რვა წლით „მიაველინა“ ჭკუის სასწავლებლად.


ს. სხამელიანი

მკრძე

- თუ ქვეყნად მარტო სტუმრად მოხველ, დაუბატოებელი სტუმარი ხარ!
- სიბარძები ხიკვდილს არ აგვიანებს, ქუჩებს ანაგვიანებს.
- ჯერ დადულდი მევენახედ, უფრძის გემო მერხნახე!
- უთავოს მაშინ გამოუჩნდება თავი, როცა მოეჭრება.
- სჯობს სახელითა მოხვეჭა, მაგრამ არა — კულტურის ძეგლთა კედლებზე ამოფხანით!

რომან ზუპაკიშვილი

ნახ. ი. ყაინაშვილისა



უხიტყვოდ

მღჭ

ვერც კი შენიშნა, როდის ჩაითრია მღჭ-მ. როცა შენიშნა, გვიან იყო, იმდენად გვიან, რომ არც კი უცდია თავის დაღწევა. თანაც მღჭ-ის სამფლობელოში სიმყუდროვე იყო და ნესტის თბილი, გამაბრუებელი სურნელი ფოფინებდა. იგი მარტო როდი იყო აქ: მარჯნივ და მარცხნივ, ზემოთ და ქვემოთ ფუსფუსებდნენ, ფუთფუთებდნენ, სისინებდნენ, ჩურჩულებდნენ, ხითხითებდნენ, ქირჩილებდნენ, ფრუტუნებდნენ, ღრუტუნებდნენ, კრუტუნებდნენ. მხარ-თეძოზე წამოწოლილი მღჭ გულში იკრავდა მათ, ყველასათვის მოედევებოდა თბილი, ნესტის სურნელით გაუღენთილი ადგილი. მის გვერდით ყველას ავიწყლებოდა, რომ ჯერ კიდევ ომი ებრძოდა მშვიდობას, სიძულვილი — სიყვარულს, ბოროტება — სიკეთეს, უგუნურება — სიბრძნეს, სიმახინჯე — მშვენიერებას.

ბოლოს და ბოლოს, იმიტომ რომ იგი მღჭ გახლდათ.

შენიშვნა: მღჭ — მეზჩანობის ღრმა კაობი.

უ. ფულო

დექსიკონი

- კოაპერატიული ბინა — რომ აშენებენ და შენდებიან.
- თბილისური პიანინო — შიგ შესანიშნავად ინახება ორი ხელი ლოგინი.
- საკოლმეურნეო ბაზარი — ზამთარ-ზაფხულ ერთნაირად რომ დაგცხება.
- ტროლეიბუსი — სადაც მიდიხარ, იქ რომ ვეღარ მიხვალ.

გივი რიკიაშვილი

აშშ-ის 34 მილიონი მოქალაქე, ანუ მოსახლეობის 15 პროცენტი „სი-დარიბის ოფიციალურ დონეზე დაბ-ლა იმყოფება“.

გაგაუთავიდან

ნიუ-იორკში ჩასულმა უცხოელმა, რომელიც შემთხვევით მოხვდა დასავლეთის 28-ე ქუჩაზე, უამრავი ხალხი დაინახა. ღატაკურად ჩაცმული ბრბო წმინდა მოციქულის ეკლესიის ირგვლივ ირუოდა, მერე კი რიგად დაწყობილი მიემართებოდა მეზობელი შენობისაკენ, საიდანაც კერძის სუნი სცემდა და კოვზ-მათლაფების ჩხაკუნი ისმოდა.

„ნამდვილად ქელებია, — გაიფიქრა უცხოელმა, — ცხადია, ამ ხალხს დიდი უბედურება დაატყდა თავს, თორემ საიდან ასეთი დაღვრემილი, მწუნარე სახეები, თანაც კრინტს არავინ ძრავს“.


უცხოელის ღრმა რწმენით ამ უღა-ზათო შენობაში გაშლილი ტრაპეზი მიცვალებულის სულის მოსახსენებ-ლად იყო გამართული, მაგრამ ახლა იმის გაგება ეწადა, თუ ვინ იყო მკვდარი, რომლის დაკრძალვას ამ-დენი ხალხი მოეზიდა.

„უთუოდ დიდი კაცი იქნება, — ვა-რაუდობდა თავისთვის, ვიდრე ვინ-მეს ჰკითხავდა, — მოიცა, მოიცა, თვითონ ძია სემი სომ არ მოკ-ვდა?.. თუმცა რატომაც არა, ამ-დენი ხნის ქრონიკული ავადმყოფო-ბებით კრიზისში მყოფი ჩაუღრძო-ბოდა, აბა, რა მოუვიდოდა?!“

— მითხარით, მისის, ვინ გარდა-იცვალა? — მიუახლოვდა იგი ერთ-ერთ ქალბატონს.

— ძია სემი! — მიუგო ქალბატონმა. უცხოელს პირი ღია დარჩა გაკ-ვირვებისაგან.

— რა გაგიკვირდათ?! როგორ გე-ტყობათ, რომ სულ არ იცნობთ ამე-რიკული ცხოვრების წესს. დიან, ძია სემის ქელებია და ჩვენი მწუნარება ისე უსაზღვროა მისი გარდაცვალე-ბის გამო, რომ აქ წლების განმავლო-



პოლიტიკური ფელეტონი

ბაში ყოველდღე დავდივართ. რომ არ ვიაროთ, არც შეგვიძლია. მე როზი მქვია, დღეში ერთხელ ვჭამ და ისიც ამ დაწესებულებაში.

— მე ებიგვილი მქვია, — მიაბრუნა უცხოელი ახლა სხვა ქალბატონ-მა, — გაგიგონიათ პოპულარული სი-მღერების შემსრულებელი ებიგვი-ლი? ეს სუთი ბავშვი სულ ჩემებია, ყველას შია, ღამისსათოვეი თავშესა-ფარიდან აქ მოვდივართ ყოველ დი-ლით და რიგში ვდგებით...



ძია სემის დამტირებულ ებიგვი-ილს, ისევე როგორც როზის შავები, ეცვა, მაგრამ მასაც, შვილებთან ერთ-თად, სამზარეულოსაკენ გაურბოდა თვალები, სულ არ აინტერესებდა, თუ ვინ ესვენა წმინდა მოციქულის ეკლესიაში.

საუბარში ახალგაზრდა კაცი ჩაე-რია.

— ძია სემი სად ასვენია, ვის რაში ეკითხება?! მთავარია, სუბი მივი-ლოთ. როცა არც სამუშაო გაქვს, არც — ბინა და ქუჩაში ათევე, საჭ-მელი მაინც უნდა გქონდეს, რომ როგორმე ფეხზე იდგე. აბა, ახლა იქით გაიხედეთ, სერ!

უცხოელმა თვალი მოავლო 28-ე ქუჩის მისადგომებს—ყველგან, პირ-დაპირ ტროტუარზე ეყარნენ ღამის-მთეველნი და სავენტილაციო მილე-ბიდან გამონადენ ორთქლზე ითბობ-დნენ გაყინულ ხელ-ფეხს.

— ნუთუ მხოლოდ აქ იხდიან სე-მის ქელებს? — იკითხა ხალხის სიმ-რავლით შემებარმა უცხოელმა.

— არა, სერ, ამისთანა საქველმოქ-მედო ცენტრები სხვა ადგილებში-ცაა, — მიუგო ცენტრის ადმინისტ-რატორმა უილიამ ტრინლოუმ, — მარტო ნიუ-იორკში ჭერი არ ასუ-რავს 36 ათას კაცს, მთელ ამერი-კაში კი ასეთი 2 მილიონზე მეტია.

— რამდენ კაცს უმასპინძლებდა თქვენი საქველმოქმედო ცენტრი? — იკითხა უცხოელმა.

— დღეში სამ საათს ვმუშაობთ და ოთხასზე მეტ კაცს ვაძლევთ სუპს. — მიუგო ტრინლოუმ და საათზე დაი-ხედა.

სწორედ ამ დროს გაისმა ზარის რეკვა წმინდა მოციქულის ეკლესი-აში.

ეტყობოდა, ვიღაცას წირვა გამო-უყვანეს, მაგრამ ძნელი იყო იმის გაგება, თუ სახელდობრ ვის, რადგან უცხოელს ვერ გაეგო, მართლა ესვენა თუ არა ძია სემი ამ ყველასგან მიტოვებულ სამლოცველოში.

ელგუჯა მერაბიშვილი

ოპიონისუკი ბრაგელია

ანუ

თბილისის „დინამოს“
გულწამბატიკივართა
დიდი გუნდის სიმღერა

სრულდება „ერთგულეზის ლატარიის“
ბათამაზების დაწყებაამდე და მატჩის
დამთავრებამდე

იმ ნიკემ ასე რატომ დაგვთარსა? —
არც მედლებს ველით წელს და არც — თასსა!
ფეხბურთის სენი — თაობათა ცვლა
ხომ აქვთ სხვა კლუბებს, ხომ სჭირთ მათაცა?!

გულნატკენი ვართ უკლებლივ ყველა,
ლატარიაში ვეძიებთ შველას!..
„უიგულებს“ ვიგებთ, თამაშებს — ვერა
და „დინამოსი“ ჩვენ მაინც გვჭერა!

მისამღერო

„გამარჯვება, ბიჭებო!..“ და ა. შ. გამარჯვება-
მდე.

ღირიუორი ბათუ მელია

„ნიანგის“ შარშანდელ 23-ე ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილზე „ვიაროთ! ვირბინოთ! მაგრამ რით?“, რომელიც ამხელდა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ფეხსაცმლის დარგის საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის დაბალხარისხიანობას, რესპუბლიკის ტყავფეხსაცმელების სამრეწველო გაერთიანებიდან მოგვეწერეს:

„საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ სპეციალურად განიხილა ფეხსაცმლის მრეწველობის საწარმოთა მიერ გამოშვებული ნაწარმის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების საკითხი და მიიღო შესაბამისი ღონისძიებანი — რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად გადასინჯულ იქნა გამოსაშვები ფეხსაცმლის ასორტიმენტი და მოდელეები, რის შედეგადაც მომხმარებელთა მოთხოვნის შემცირების გამო წარმოებიდან მოიხსნა და ჩაშვებულ იქნა ახალი მოდელეები, დანერგილ იქნა ახალი ტექნოლოგია, ათვისებულია ახალი სახეობებისა და მოდელეების წარმოება, 39,2 მილიონი მანეთის ფეხსაცმელი წარმოებული და რეალიზებულია ხარისხის ნიშნით... პროდუქციის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლების მიზნით მარტო გასული წლის ბოლოსთვის დამონტაჟდა და ექსპლუატაციაში გაშვებულ იქნა 272 ერთეული ახალი, მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარები, რითაც შეიცვალა იმავე რაოდენობის ფიზიკურად გაცვეთილი მანქანები...“

ყოველივე ამის შედეგად, გამოშვებული ფეხსაცმლის ხარისხზე საგრძნობლად შემცირდა სავაჭრო ორგანიზაციების პრეტენზიები.“

თეთრი წყაროს რაიონის პურკომბინატში გამოშვებული პროდუქციის უხარისხობაზე მკითხველს აუწყებდა „ნიანგის“ შარშანდელ მე-14 ნომერში დაბეჭდილი ფელეტონი „ორი ლექსი თეთრი წყაროდან“ ქვესათაურით: „ყურადსაღებად პურკომბინატის დირექტორის ნორა ბაირამოვას ზემდგომთ“. ამის შესახებ თეთრი წყაროს რაისაბჭოს აღმასკომმა შეგვატყობინა:

„საკითხი განხილულ იქნა რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე და დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი პურკომბინატის სისტემაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, მაგრამ პურკომბინატის ხელმძღვანელობამ ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნები, რის გამოც ობიექტის დირექტორი ნ. ბაირამოვა განთავისუფლდა თანამდებობიდან და მიღებულია სათანადო ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.“


„ნიანგის“ გასული წლის 23-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ეშველება რამე?“ მოთხრობილი იყო ახალციხის რაიონის გზების კეთილმოწყობლობაზე. პარტიის ახალციხის რაიონული კომიტეტიდან ამ წერილთან დაკავშირებით მოვიდა პასუხი:

„ახალციხის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალი მიმდინარე წლის ბოლომდე უზრუნველყოს გზების კეთილმოწყობა და წესრიგში მოყვანა, ხოლო სატვირთო სადგურის ხელმძღვანელობას — ვაგონებიდან ქვანახშირის დასაცლელი ადგილის გადატანა, რომლის შესრულებაზეც კონტროლი იქნება დაწესებული“.




ნან. მ. აბაშიძის

— კი მაგრამ, რაღაც მიზეზი ხომ უნდა გქონდეს, ცოლს რომ ეყრები?!



ნახ. მ. აბაშიძისა



ამერიკული აბრაჰამიონი

პანს ზაიფარტი
(გ ღ რ)

პროფესიული

ჩვევა

მისტარ პარკერი ვა-
შინგტონში რომ ჩავიდა,
როგორც ყოველთვის, ამ-
ჯერადაც თავის ძველ კომ-
პანიონთან, მეგობარ ბუტერ-
რვორტთან დაბინძავდა. სა-
ლამოს ქუჩაში ვაისეირნეს
და მდინარე პოტომაკის გას-
წვრივ თვალი მოჰკრეს ვრთ
კაცს, რომელიც მომართუ-
ლი შექანიზმივით თავს მო-
ნოტონურად აქნევდა.

იგი მიდიოდა ღრმად ჩა-
ფიქრებული და საკუთარი
ნაბიჯების ტაქტზე ამოძრა-
ვებდა თავს. როცა მიუახ-
ლოვდნენ, პარკერმა შეამჩ-
ნია, რომ ის კაცი მარტო
თავს კი არ იქნევდა, არამედ
დაძაბული ყურადღებით ხან
ქვემოთ აპყრობდა მზერას,
ხან ზემოთ, თითქოს მეტად
საინტერესო ჩოგბურთის
მატჩს ადევნებდა თვალს იმ-
გვარ მოედანზე, რომელიც
შეცდომით ვერტიკალურ
სიბრტყეზე მოუთავსებია-
თო.

— გუდ ივინგ, მისტერ
ვოპკინს! — მიესალმა ბუ-
ტერვორტი და ოდნავ თავი
დაუკრა.

— გუდ ივინგ, სერ! —
წაიბურღლუნა კაცმა უწადი-
ნოდ და გვერდი აუქცია ისე,
რომ წამითაც არ შეუწყვე-
ტია უცნაური თავის ქნევა.

— რა სჭირს? — ჰკითხა
თანაგრძნობით პარკერმა
თავის მეგობარ ბუტერ-
ვორტს, — ქრონიკული თავ-
ვის ქნევა თუ რომელიღაც
ნევროზი?

— არავითარი მსგავსი
რამ, — წაუჩურჩულა ბუ-
ტერვორტმა და მალულად
გახედა ვოპკინსს, — პრო-
ფესიული ჩვევა: იგი შრო-
მის სამინისტროში მუშა-
ობს და დილიდან საღამომ-
დე თვალს ადევნებს ხან
უშუშევართა გაზრდილ
რიცხვს და ხან აქციის სა-
ბირჟო კურსის დაცემას.

გერმანულიდან თარგმნა
შოთა ამირანაშვილმა



ნიანგი

სატირულ-ჰუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“ № 7 (1665).
აპრილი, გამოდის 1923
წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლგაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
კახუა ამირეჯიბი, ნომადი
ბართია, ბორის გურგუ-
ლია, ნოდარ დუმბაძე, რე-
ვაზ თვარაძე, ჭემალ ლო-
ლუა, ნოდარ მაღაზონია
(მხატვარ - რედაქტორი),
ილიქსანდრე სამსონია,
ხეუნ სიხარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ქანსულ ჩარკვიანი, თამაზ
წიფვივაძე, ნაფი ჯუსიითი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

აღივცა ასაწყობად 123.
84 წ. ხელმოწერილია და-
საბეჭდად 13.4. 84 წ.
ქალაქის ზომა 60X90/8
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, სააღრიცხვო-საგა-
მომცემლო თაბახი 1,7. სა-
ქართულოს კმ ცკ-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14.
შეკვეთა № 600. უმ 01421
ტირაჟი 138.300. ყურნალი
გამოდის თვეში ორჯერ,
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008,
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან - მემანქანის —
99-76-69.

სატირიკო - ჰუმორისტиче-
ский журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели
№ 42. Издательство ЦК
КП Грузии, Типография
издательства ЦК КП
Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ზსი 20 კაპიტი
ინფოსი 76137

